პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 სამშაბათი 15 ნოემბერი № 266 (17006) ფასი 2 კაპ. 1977

ხუთწლედის მესამე წელს — საიმედო საფუძველი!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილეს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის ათი თვის შედეგის შესრულების შედეგები და მეათე ხუთწლედის მეორე წლის წარმატებით დამთავრების ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საიუბილეო წლის მიჯნები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილეს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის ათი თვის შედეგის შესრულების შედეგები და მეათე ხუთწლედის მეორე წლის წარმატებით დამთავრების ამოცანები.

მოისმინეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. ქართველიშვილის მოხსენება, რომლის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი რ. კონცელიძე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. ბამიეშვილი, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ბ. ბერიბალაშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ნ. მეძმარიაშვილი, საქართველოს სსრ სახალფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ჯ. სიხარულიძე, „საქმთავარენერგოს“ უფროსი უ. ცაქარიტინიძე.

ამ საკითხზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი.

მოისმინეს აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის რ. ბესარიას მოხსენება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ.

განხილვის შედეგები შეჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. კოლბინმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაახლოს საქართველოს სახალხო მეურნეობაში მიმდინარე წლის წარმატებით დამთავრების ღონისძიებანი.

□

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროს მშრომელებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისთვის შეჯიბრებაში ჩაებნენ და აღფრთოვანებული არიან სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებით, წარმატებებს მიაღწიეს საიუბილეო წლის ათი თვის გეგმების შესრულებაში.

მრეწველობის მუშაკებმა ადამდე, 24 ოქტომბერს შესრულეს პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. რეალიზაციის გეგმა შესრულდა 102.7 პროცენტით, მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა კი 103,1 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 166 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია, რაც ექვსი მილიონი მანეთით აღემატება წლიური სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებულს.

პროდუქციის გამოშვება იანვარ-ოქტომბერში 6,7 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა ამ მაჩვენებელმა გასული წლის შესაბამის პერიოდში 5,2 პროცენტი შეადგინა.

უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებელი, საავტომობილო, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგები.

მთლიანი პროდუქციის საშუალო სადღეღამისო გამოშვება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7,5 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ელექტროენერგიის, თუჯის, თუნუქის, ნავლინის, კოქსის, მანგანუმის მადნის, ქვანახშირის, მინერალური სასუქების, ლითონსაჭრელი ჩარხების, სატრაქტორთა ავტომობილების, ამბრეშუმის ქსოვილების, წინდების, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლის, ხორცის, ყურძნის ღვინისა და მთელი რიგ სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების საგეგმო დავალებანი.

საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებას ხელი შეუწყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების შემდგომმა დაჩქარებამ, შესრულდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის ათვისების ყველა დასახული ღონისძიება. საექსპლოატაციოდ გადაეცა 19 ავტომატიზებული და მექანიზებული ნაკადური ხაზი, ათობით ახალი დიდმწარმოებლური ჩარხი, მანქანა და აპარატი, მექანიზებულია ოთხი უბანი და სამჩრო. დაინერგა 16 ათასამდე გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება. საწარმოებმა და გაერთიანებებმა ათვისეს და დაიწყეს 56 ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვება. რესპუბლიკაში წარმოებული სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის რაოდენობამ 620-ს მიაღწია.

ყოველივე ეს სასიხარულოა და ადასტურებს, რომ მრეწველობის განვითარება სწორ გზას ადგას, რომ რესპუბლიკის ინდუსტრიის მუშაკები მტკიცედ ებრძვიან XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, ეკონომიკურ-ეფექტიანობისა და ხარისხის ხელოვნების დავალებების შესრულებისთვის.

ამასთანავე, მრეწველობის ათი თვის მუშაობის შედეგების განხილვისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მთავარი ყურადღება დაუთმეს მთლიანი წლიური გეგმის შესრულების პერსპექტივებს, იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად საიუბილეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მომხსენებელმა და ორატორებმა ილაპარაკეს ცალკეულ უწყებათა და საწარმოთა საქმიანობის ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, რომელთა აღმოფხვრა ხელს შეუწყობს წარმოების ტემპების შემდგომ დაჩქარებას. გამოანგარიშებულია, რომ, თუ მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობა შეასრულებს ნოემბერ-დეკემბრის გეგმებს, წარმოების მოცულობის მატებას წლიური ტემპი 7,1 პროცენტი იქნება — სწორედ ამდენია საჭირო ხუთწლედით დასახული დონის მისაღწევად. მაშასადამე, საწარმოებს არ უნდა შეჰქონდეთ კორექტივები გეგმებში. მათი შემცირების მიზნით და უთუოდ ასრულებდნენ მათ.

სამინისტროთა და უწყებათა ამოცანა, ვფიქრობ, ის არის, რომ დაძლიონ ცალკეულ საწარმოთა ჩამორჩენა. თუმცა ათ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც მთლიანი პროდუქციის რეალიზაციისა და გამოშვების საგეგმო დავალებებს ვერ ასრულებენ, ჩამორჩენილი ქარხნები და ფაბრიკები მაინც დიდ უარყოფითს გავლენას ახდენენ მრეწველობის მუშაობის საერთო შედეგებზე: მათ თითქმის 4,9 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია დაგვაკლეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გააკრიტიკეს იმ საწარმოთა ხელმძღვანელობა, რომლებმაც სამრეწველო-საწარმოო პერსონალს ზეგეგმით რიცხვისა და შრომის და საწარმოო დისციპლინის დარღვევათა გამო ვერ მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ისეთ ტემპს, რომელიც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ამოცანებს შეესაბამება.

გააანალიზეს აგრეთვე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ვითარება. აღინიშნა, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოებისა და დამზადების გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. მიტად ცუდი ამინდების მიუხედავად, ბევრი სამეშაო შარშანდელზე უფრო წარმატებით მიმდინარეობს. კერძოდ, ეს შეეხება მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსნების მოსავლის აღებას.

ამავე დროს დასავლეთ საქართველოს რაიონებში გაჭიანურდა სამარცვლე სიმინდის მოსავლის აღება, რომლის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები ზოგიერთ რაიონში ჯერ ისევ დაბალია.

კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის აღების ტემპი უნდა დაჩქარონ ახალქალაქის, ქარელის, ბოლნისის, გარდაბნის, მცხეთისა და მთელი რიგი სხვა რაიონების მეურნეობებმა.

წელს წარმატებით მიმდინარეობს საკვების დამზადება. 31 ოქტომბრისათვის დამზადებული იყო მეტი ოხშივარი საკვები, სენაჟი, საკვები ძირხვენები, ვიდრე გასული წლის ამ თარიღისათვის. ამასთანავე, აღმოსავლეთის ბს რესპუბლიკის რაიონები, ლაზჩხოთის, წალენჯიხის, ზუგდიდისა და დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი სხვა რაიონები ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე ჩამორჩებიან.

რესპუბლიკაში წარმატებით სრულდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეჩაიეთა წვლილი.

რაც შეეხება ყურძენს 1 ნოემბრისათვის მისი დამზადების გეგმა შესრულებული იყო 86 პროცენტით. უეჭველია, საგეგმო დავალებათა შესრულებას ხელი შეუშალა ძლიერმა სეტყვამ. მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ამ საკითხის განხილვის დროს აღინიშნა, რომ უხეშად იყო დარღვეული მეგანაზრეობაში ძირითად საშუალოთა შესრულების აგროტექნიკური ვადები და ჯეროვან ორგანიზაციულ დონეზე არ ჩატარებულა მოსავლის აღება, რის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს მეტი წილი რაიონები ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებს, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წითელწყაროს, თეთრი წყაროს, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მეგენახეთა წარმატება.

განიხილეს აგრეთვე, თუ როგორ მმდინარეობს სხვა პროდუქტების დამზადება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ცნობად მიიღეს, რომ გადაჭარბებით შესრულდა საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველა სახეობის ტრანსპორტით სახალხო-სამეურნეო ტვირთბრუნვის ათი თვის გეგმა.

რთული მდგომარეობაა კაპიტალურ მშენებლობაში. მთლიანად ვერ შესრულდა კაპიტალური დაბანდების ათვისების ოქტომბრის გეგმა. ამის შედეგად წლის დამდეგიდან რესპუბლიკაში მთლიანად არ არის ათვისებული 96 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება, რაც გეგმის 10 პროცენტს შეადგენს. ვერ შესრულდა საბინაო მშენებლობაში კაპიტალური დაბანდების ათვისების გეგმა. ამ მუხლით სახსრების აუთვისებლობა შვიდ მილიონ მანეთს აღემატება, საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა კი მხოლოდ 65 პროცენტით შესრულდა. ეს ნიშნავს, რომ დარჩენილ ორ თვეში მშენებლებმა საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ ფრიად მნიშვნელოვანი რაოდენობის საცხოვრებელი ფართობი.

ჩამორჩენაა სოციალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტებზეც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ სამშენებლო სამინისტროებმა და შემკვეთებმა, აგრეთვე ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მკვეთრად უნდა გააძლიერონ ღონისძიებანი და თავი მოუყარონ შრომითს და მატერიალურ რესურსებს ასამუშაებელ ობიექტებზე, რათა უთუოდ შესრულდეს მიმდინარე წლის პროგრამები.

რესპუბლიკაში გადაჭარბებით შესრულდა საცალო საქონელბოლნეულის გეგმები, კერძოდ, სახოგადოებრივი კვების დარგში. მოსახლეობის გეგმის გადაჭარბებით მიეყიდა 26 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი, რაც 155,5 მილიონი მანეთით გადაჭარბა შესაბამის შარშანდელ მაჩვენებლებს.

მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი ორგანიზაცია ვერ ასრულებს გეგმებს როგორც სახელმწიფო ვაჭრობის, ისე სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში. სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას ის გარემოებაც ართულებს, რომ სისტემატურად ვერ აწვდიან მოლიანად ბევრი სახეობის სახალხო მოხმარების საქონელს. ამაში, უწინარეს ყოვლისა, ბრალი მიუძღვით რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს. ხოლო იმის გამო, რომ ცალკეულმა საწარმოებმა ღალატივეს შეთანხმებული ასორტიმენტის, ფერისა და მოდელის ნაწარმის გამოშვება, სავაჭრო ორგანიზაციებმა საქონელმწარმოებლებს დაუბრუნეს თითქმის 25 მილიონი მანეთის პროდუქცია, მათ შორის ქსოვლები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი.

რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებში მნიშვნელოვანი ზენორმატიული სასაქონლო ნაშთის დაგროვების ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ საქმეო მუშაობას ან ეწევიან სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ნელა წარმოებს მისი ასორტიმენტის განახლება და ამავე დროს ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი ვაჭრობის ორგანიზაცია.

მთლიანად რესპუბლიკაში გადაჭარბებით შესრულდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის ათი თვის გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის ტემპმა შეადგინა 111,5 პროცენტი, აქედან სოფლად — 118,2 პროცენტი. მაგრამ 16 სამმართველო, ანუ მათი საერთო რიცხვის 22 პროცენტი, წლის დამდეგიდან ვერ ასრულებს გეგმებს. რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შელმძღვანელობას მეეთოთა, რომ საჭიროა ამ სამმართველოებმა დაძლიონ ჩამორჩენა და უთუოდ შეასრულონ მთელი წლის გეგმები.

საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად გარკვეული მუშაობა გასწია სამრეწველო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფისათვის. გადაჭარბებით შესრულდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი მასალების ნაწარმის გეგმები. მაგრამ ეს სრულადაც არ ეხება ყველა მასალას, რამაც არსებითი სიძნელეები გამოიწვია სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები თვალისწინებენ განხილვის შედეგებსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ გამოტანილ დასკვნებს და მთელ თავიანთ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზატორულ მუშაობას იმისათვის წარმართავენ, რომ წარმატებით დამთავრდეს მეათე ხუთწლედის მეორე წელი, ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება, გაძლიერდეს შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი აქტიურობა, შეიქმნას 1978 სამეურნეო წლის წარმატებით დაწყების მტკიცე საფუძველი. (საქინფორმი).

ᲕᲐᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ

ᲯᲐᲠᲑᲐᲓ არის ცნობილი მაიკოვსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავის მანანა კოჩიაშვილის სახელი.

ქალიშვილმა შარშან დაამთავრა ხაშურის სკოლა და ხაშურაოდ მოვიდა მეცხოველეობის ფერმაში, სადაც მასზე გაპიროვნეს 22 საფურაუე ძროხა.

თავდადებულმა შრომამ, არჩეული პროფესიის სიყვარულმა კარგი შედეგი გამოიღო. მანანამ ოთხი თვით ადრე შეასრულა წვლილობის წლიური დავალება. იგი სიტყვას დებს, რომ თვითეულ ძროხაზე მიიღებს 500 კილოგრამი რძით მეტს, ვიდრე გეგმითაა გათვალისწინებული.

სურათზე: მოწინავე მწველავი მანანა კოჩიაშვილი.
Ვ. ᲒᲔᲠᲨᲐᲛᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ Შ. ᲙᲠᲘᲛᲡᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲣᲮᲔ მოსავალს ღებულობენ მზიური აფხაზეთის მეცატრუხეები. გულრიფშის ვ. ი. ლენინის სახელობის მეცატრუხეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ხუთწლედის საიუბილეო წელს ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 1900 ტონა მანდარინი — გეგმაზე 369 ტონით მეტი. მეცატრუხეები მოკრეფენ ხულ ცოტა ოთხმოც ტონა ფორთობალს, 640 ათას ცალ ლიმონს.

სურნელოვანი ნარინჯისფერი ნაყოფი უკვე გაიგზავნა მოსკოველებისა და ლენინგრადელების, კიეველებისა და თბილისელების, ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა დიდი სამრეწველო ცენტრის მშრომელების სადღესასწაულო სუფრისთვის.

სურათზე: ელისო შენგელია, რომელიც მანდარინის კრეფის დღიურ ნორმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ვ. ი. ლენინის სახელობის მეცატრუხეობის საბჭოთა მეურნეობაში.
Ი. ᲯᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲜᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ

დამკვრელურად შრომობენ

ᲯᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). ენგურჰესის მშენებლებმა მეათე ხუთწლედის მეორე წლის გეგმა-ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლაში წარმატება მოიპოვეს. მათ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს 1977 წლის იანვარ-ოქტომბრის დავალება. შესრულებულია 50 მილიონ 147 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რაც ნავარაუდევზე 374 ათასი მანეთით მეტია.

ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები წარმატებით გაანალდეს კაშხალმშენის, ძალოვანი კვანძის, მექანიზებულ სამუშაოთა სამშენებლო სამმართველოებმა.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ძირითადი სადგურის — ძალოვანი კვანძის პირველი სამი ჰიდროტურბინის, დისკური და სფერული საკეტების დამონტაჟება, რომლებიც განკუთვნილია აგრეგატებში წყლის მიწოდებისა და ხარჯვის რეგულირებისათვის. დიდი მუშაობა წარმოებს მდინარე ენგურის გადასახიდად. მშენებელთა ვარაუდით ჯერის წყალსაცავის ავსებას დეკემბერში შეუდგებიან.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). მართლაც სანაქებო ნაყოფი გამოიღო დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. შეჯიბრების ავანგარდშია მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი, რომელიც მესამე კვარტალის შედეგებით გამარჯვებული გამოვიდა როგორც მთელი ქვეშრის მონათესავე საწარმოთა შორის, ისე რუსთავის სამრეწველო საწარმოთა შორისაც და შესაბამისი გარდამავალი დროშები დაისაკუთრა.

შესრულებულია ქალაქის მრეწველობის არა მარტო საოქტომბროდ ნაკისრი საიუბილეო ვალდებულებანი, არამედ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის გამოშვების წლიური ვალდებულებანიც. მაგალითად, წარმატებით შესრულდა ფოლადის მილების, თუჯის, კოქსის გამოშვების წლიური ვალდებულებანი, მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოს, კოშკური ამწეების დამზადების 1977 წლისათვის ნაკისრი ვალდებულებები.

წარმატებებია მოპოვებული ათი თვის დავალებათა შესრულებაშიც. ქალაქის მრეწველობამ როგორც პროდუქციის რეალიზაციის, ისე მთლიანი პროდუქციის დამზადების გეგმას 4 მილიონი მანეთით გადაამეტა. განვლილ ათ თვეში პირნათლად იშრომეს ქალაქის მშენებლებმა, ბინათმშენებლებმა კი სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს.

სიახლის ძიებაში

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ეფექტიანობის გაზრდა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ძირითადად იგი წყდება ტექნიკური პროგრესისა და შრომის ორგანიზაციის საფუძველზე. ჩემი საწარმო — ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა ყოველწლიურად ათობით დასახელების მანქანებს ამზადებს. რაც საწარმოს, დიდი ამოცანების წინაშე აყენებს. ამ ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია თანამედროვე ტექნიკის დაუნერგავად. ბოლო წლების მანძილზე ჩვენს ქარხანაში მრავალი სიახლე დანერგა, მაგრამ თითოეული მუშაკის თავდადებისა და შრომის კარგი ორგანიზაციის გარეშე რაიმე წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. რუსთაველთა ინიციატივა გაკვეთილი გახდა ჩვენი ქარხნისა და თითოეული ჩვენგანისათვის.

სახლში ვარ თუ ქარხანაში, მუდამ იმაზე ვფიქრობ რაიაც სასარგებლო შეემატო საწარმოს — ჩემს ახალ წინადადებას ყველის მრეწველობის მანქანებში, ავტომატური მარეგულირებელ ავტოკლავებში სტერილიზაციის პროცესის გაუმჯობესების შესახებ მნიშვნელოვანი ეფექტი მოჰყვა. მუდამ იმას ვცდილობ, ამხანაგებს კარგი მაგალითი მივცე, შეგირდებს მაქსიმალურად ავათვისებინო სპეციალობა.

სკკპ XXV ყრილობის დღეებში ვალდებულება ვიკისრე პირადი ხუთწლედი ოთხ წელიწადში შემესრულებინა. ენერგიულ შრომას შედეგიც კარგი მოჰყვა, ოქტომბრის დღესასწაულისათვის სამი წლის გეგმა შევასრულე.

ჩვენს ქარხანაში ბევრია მოწინავე მუშა, მაგალითად, მეყალიბე ალექსანდრი პლოტნიკოვი, ხარატები ბურამ ქარცევაძე, ლენინდე ივანოვსკი და სხვები 1978 წლისგეგმარეშში მუშაობენ.

Თ. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.
ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲐᲗᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ.

ᲛᲗᲚᲝᲚᲝᲓ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ჯეროვნად ზრუნავს ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგას ჩვენი მეშვიდე ბრიგადა, რომელიც ათიოდე წლის წინ შეიქმნა. ბრიგადაში დაკომპლექტებულია 25 კაცი. ბრიგადის ყოველი წევრი კომუნისტური შრომის დამკვრელია. ჩვენმა ბრიგადა არაერთხელ გამოსულა გამარჯვეული ფაბრიკის ბრიგადებს შორის გაწეილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჯერიერთ პროდუქციის ხარისხის საბჭოწიფო ნიშნით. ბრიგადის ყველა წევრმა ათიოდისა მომზადებული ოპერაციები. მრავალი დამრიგებლის საპატიო წოდებას ატარებს. ბევრი ჩემი ამხანაგი და პირადად მე დაჯილდოებული ვარ სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშნით „მარჯვე ოსტატი“.

პირადად მე ვმუშაობ დღეში — ხუთი დღის დავალებაზე ოთხ დღეში. და ყოველდღიურ გეგმას 114-115 პროცენტით ვ სრულებ. გასული წლის დასწყისში ვიკისრე ხუთწლედის დავალება შეესრულო ორ წელიწადში. ამის საქმით ვადატარებ. მომდინარე წლის გეგმა ნოემბრისათვის გავანაღდე.

ᲖᲐᲘᲠᲐ ᲮᲐᲒᲘ.
ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲚᲐᲓ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ხეხილის სახელმწიფო სანერგე მეურნეობამ 47 ჰექტარი მიწა გამონდა ბუჩქნარებისა და ქვებისაგან, დაამანტაჟა და გაანოყიერა. ერთი ნაწილი დაითმო მრავალწლოვან ნარგავებს, დანარჩენზე კი დაითესა ბალეული, მაგრამ თითოეული მუშაკის თავდადებისა და შრომის კარგი ორგანიზაციის გარეშე რაიმე წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. რუსთაველთა ინიციატივა გაკვეთილი გახდა ჩვენი ქარხნისა და თითოეული ჩვენგანისათვის.

სახლში ვარ თუ ქარხანაში, მუდამ იმაზე ვფიქრობ რაიაც სასარგებლო შეემატო საწარმოს — ჩემს ახალ წინადადებას ყვავების მრეწველობის მანქანებში, ავტომატური მარეგულირებელ ავტოკლავებში სტერილიზაციის პროცესის გაუმჯობესების შესახებ მნიშვნელოვანი ეფექტი მოჰყვა. მუდამ იმას ვცდილობ, ამხანაგებს კარგი მაგალითი მივცე, შეგირდებს მაქსიმალურად ავათვისებინო სპეციალობა.

სკკპ XXV ყრილობის დღეებში ვალდებულება ვიკისრე პირადი ხუთწლედი ოთხ წელიწადში შემესრულებინა. ენერგიულ შრომას შედეგიც კარგი მოჰყვა, ოქტომბრის დღესასწაულისათვის სამი წლის გეგმა შევასრულე.

ჩვენს ქარხანაში ბევრია მოწინავე მუშა, მაგალითად, მეყალიბე ალექსანდრი პლოტნიკოვი, ხარატები ბურამ ქარცევაძე, ლენინდე ივანოვსკი და სხვები 1978 წლისგეგმარეშში მუშაობენ.

Თ. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.
ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲐᲗᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ.

ᲮᲐᲨᲣᲠᲔᲚ ᲛᲔᲭᲐᲠᲮᲚᲔᲗᲐ ᲪᲝᲒᲐᲗ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ რაიონის მეჭარხლეებმა გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის მიყიდვის დავალება, ნაცვლად 20.200 ტონისა დამზადებულია 20.300 ტონაზე მეტი შაქრის ჭარხალი.

რაიონის მეჭარხლეებმა გადაწყვიტეს კიდევ დაამზადონ ... ტონა ჭარხალი. — ეს რედაქ... აცნობეს საქართველოს კომ... ტრის ხაშურის რაკომის პირ... მა მდივანმა ჯ. ბედუკაძემ და ... ონის სოფლის მეურნეობის ... ქართველოს უფროსმა ვ. ... შვილმა.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲗ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ!

მემორიალური კომპლექსი

ᲛᲘᲜᲒᲔᲩᲐᲣᲠᲘ (აზერბაიჯანის სსრ). მინგეჩაურში გაიხსნა მემორიალური კომპლექსი, რომელიც ეძღვნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელს — ვლადიმერ ილიას ძე ლენინს. მემორიალი აგრძელებს ახალგაზრდა ქალაქის მთავარ მაგისტრალს, რომელიც რევოლუციის ბელადის სახელს ატარებს. მემორიალური მოედნის ცენტრშია ვლადიმერ ილიას ძის ძეგლი, მისი ავტორია მოქანდაკე ა. მუსტაფაევი. გვერდით ვ. ი. ლენინის მუზეუმი მოთავსდა. მემორიალის გახსნის აღსანიშნავად გაიმართა მშრომელთა მიტინგი. (საკინფორმი).



ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ (ლენინგრადის ოლქი, საკდესის კორ. ვ. ოგანი). სოფელ როგდისტიანის მშრომელებმა მშვიდობის ფონდში ათი ათასამდე მანეთი გადარიცხეს. ეს თანხა მიიღეს მემორიალურ „ლენინის ნაკვეთში“ მოწეული მოსავლის რეალიზაციით.

ასე გრძელდება ტრადიცია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე, 1918 წელს, როცა აღგილობრივმა გლეხებმა გადაწყვიტეს ერთად (დაემუშავებინათ მიწის ნაკვეთი, მიღებული მოსავალი კი გადაეცათ წითელი არმიისათვის, რომელიც კონტრრევოლუციას ებრძოდა. იმ პირველ საზოგადოებრივ მიწას — სამ ჰექტარ მწირ ჩრდილოურ ყანას, რომელმაც დასაბამი მისცა კოლექტიურ შრომას, „ლენინის ნაკვეთი“ უწოდეს.

მას შემდეგ როდესტვენელები ყოველწლ

გარდაქმნების პრიზმაში

საგაზეთო თემაზე

ამ სტატიას რომ ვამზადებდი, უნებურად გამახსენდა ერთი ეპიზოდი, რომელიც თავის დროზე რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორს პ. რატიანს შეემთხვა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე იგი პირდაპირ „გაიკამტვერეს“ იმისათვის, რომ, როცა პარტიის ერთ-ერთი რაიკომის მუშაობა „გაკრიტიკა. გაზეთმა პერსონალურად დასახელა პირველი მდივანი.

— თქვენ მისი ავტორიტეტი შელახეთ, — უსაყვედურეს რედაქტორს, — როგორც უნდა უხელმძღვანელოს რაიონს?

— თქვენც ხომ მაკრიტიკებთ ახლა? გამოდის, რომ მეც დამიკარგავს ავტორიტეტი და გაზეთს ვეღარ ეუხელმძღვანელებ, — უპასუხა მან.

— არც უხელმძღვანელეთბთო!— დაჰპირდნენ.

მართლაც. მალე ნიჭიერი ლიტერატორი და პრინციპული კომუნისტი რედაქტორის მოვალეობისაგან გაათავისუფლეს.

ეს, ახლა უკვე შორეული წარსულის თავქარი, მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ თუ გამოდგება, რომ დავახასიათოთ კადრებთან მუშაობის მდგომარეობა და სტილი, რომელიც მაშინ იყო გაბატონებული რესუბლიკურ პარტიულ ორგანოებში საერთოდ. და პრესის ორგანოების საკითხებში კერძოდ. საქმის მდგომარეობის მომთხოვნი და ობიექტური პარტიული ანალიზი. კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება მაშინ, მეტი რომ არა ვთქვათ, მაინცდამაინც პატივში არ იყო. სწორედ აიეთ არმოსფეროში გახდა შესაძლებელი დიდი ნაკლოვანებანი, შეცდომები და ხარვეზები ეკონომიკაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, კადრების აღზრდის პარტიულ ხელმძღვანელობაში ესა და სხვა ნეგატიური მოვლენები. როგორც ცნობილია, ძირფესვანად იქნა მხილებული საკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, რომელიც ჭეშმარიტად საეტაპო იყო რესპუბლიკის კომუნისტებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ენერგიული თანამიმდევრული და მტკიცე მუშაობა გააჩაღა საკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ეთუო რეალიზაციისათვის. რესუბლიკაში მომხდარ პოზიტიურ როცესებს მხარი დაუჭირა და ოიფრნა პარტიის ცენტრალურმა ომიტეტმა 1976 წლის ივნისის გადაწყვეტილებაში პარტიის ბილისის საქალაქო კომიტეტის ესახებ საკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად რესუბლიკის პარტიული რგანიზაციის მუშაობის თაობაზე.

ცხადია, დიდ ცვლილებებს გვედი არ აუარა ადგილობრივმა რტიულმა პრესამაც. ბევრი რამ ეთდა იმისათვის, რომ გაუმჯოსებულიყო პარტიული ხელმძღველობა პრესის ორგანოებისადრომ მათ მთავარი ყურადღება ეთმოთ სამეურნეო და კულტუული მშენებლობის ძირეული ცანების გადაწყვეტისათვის. საოველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კადრებს ზრდის ახს საზოგადოებრივი მნიშვნების სწორი გაგების სულისკვეთ, დღენიადაგ წარმართავს ედაქციო კოლექტივებს გაბეული კრიტიკისათვის, რესუბლის ცხოვრების საჭირბოროტო ბლემების პრინციპული დაყეისათვის. ჟურნალისტების შრომა პატივისცემა და ყურადღანი დამოკიდებულება შეხალია მათი პროფესიული და ეტიკური მომზადების დონის ლებისათვის ზრუნვასთან. ერსიტყვით, ყველა პირობა იქმინიციატივისა და დამოუკიდების განვითარებისათვის თ

ულ სარედაქციო კოლექტივში ალჯერებული და ნამდვილად ქმედებითი მუშაობისათვის.

მერე, როგორ აისახება ახალი ბელსაყურადღო ვითარება რესპუბლიკური პრესის პრაქტიკაში? რა გავლენა აახდენს, უწინარეს ყოვლისა, პარტიული ცხოვრების პრობლემების გაშუქების დონესა და ხარისხზე? ამ საკითხების აქტუალობას, იმას, რომ დროა პირდაპირ დაგსვათ და განვიხილოთ ისინი, ადასტურებს. მაგალითად, ინავე გაზეთ „კომუნისტის“ გამოცდილება.

კვლავ ვათვალიერებთ ბოლო ხუთ წელზე ცოტა მეტი ხნის — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ საკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ გამოსული ნომრების კომპლექტებს. და კვლავ ვრწმუნდებით: რა ბევრი დიდი იდეურ-პოლიტიკური ყღერადღებისა და საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე მასალა. პუბლიცისტურად მწყავე, კონკრეტული, ამაღლებული გამოსვლა დაიბეჭდა მას შემდეგ. ისინი გვაგრძნობინებენ ცხოველ გამოხმაურებასა და მეზნებარე გულწრფელ მოწონებას. რომლებითაც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომიოს კოლექტივებში შეხვდნენ პრინციპულ დებულებებსა და დასკვნებს. საკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რომ შეიცავს. გაზეთი ხელმძღვანელობდა ამ დებულებებითა და დასკვნებით. ავრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებით და მნიშვნელოვნად გააქტიურა თავის ფურცლებზე კრიტიკა. რომლის მახვილიც კონკრეტული დაბნეშავეების. პარტიული და სახელმწიფო ოლიციელნის დამრღვევების. კერძომესაკუთრული ტენდენციების მატარებლების. პიუოკრატიისა და საქმის გაჭიანურებლების წინააღმდეგ მიმართა.

„კომუნისტის“ სარედაქციო კოლექტივის უდავო პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებს უფრო ვვანი დროის რიგი პუბლიკაციებიც. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც პარტიის გურჯაანის რაიკომის მდივნის შ. ეცალაშვილისა და რედაქციის თანამშრომლის ა. ზურაშვილის შინაარსიანი, საინტერესო აზრებით აღსავსე სტატიები საერთო სათაურით: „ახლის ძიებაში“, რომლებშიც საფუძვლიანად არის გაანალიზებული რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებით. მკითხველებმა ჯეროვნად შეიფასეს დოკუმენტური ნარკვევი „რა მოხდა ახაშენი?“, რომელიც რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა. მისმა ავტორმა, ცნობილმა მწერალმა კონსტანტინე ფირფიტაშვილმ, როგორც „კომუნისტის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა, საფუძვლიანად შეისწავლა ადგილზე დიდი ცვლილებები. ოცდასუნელ წლიანი ახაშის რაიონის სოფლის მშრომელთა საწარმოო და სულიერ ცხოვრებაში რომ მოხდა, და ნათლად, შთაბეჭდავად გვიამბო მათ შესახებ.

ვიმეორებთ, გაზეთის აქტივში არის უდავო შემოქმედებითი მიღწევები. მაგრამ ისინი არათუ ვერ ფარავენ, პირიქით, კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩენენ ერთ საგანგაშო ნიშანს. უკვე აღნიშნული პერიოდის დამდეგს თვალში გეცემოდა, რომ ყველაზე აქტუალური და მებრძოლური, პრინციპული მნიშვნელობის მქონე გამოსვლები გაზეთში, როგორც წესი, იბეჭდებოდა არა საკუთარი პუბლიცისტური დაზვერვისა და ძიების, ცხოვრებაში გაზეთის შეჭრის შედეგად, არამედ იმ ფაქტების საფუძველზე, რომლებიც უკვე ცნობილი იყო, რომლებიც პარტიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა გამოავლინეს და გააანალიზეს.

ზედმეტად მიმაჩნია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პრესის საქმიანობის ამ მხარეს. პრესის ფურცლები ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და ქმედითი არხია იმისათვის, რომ სისტემატურად გავაცნოთ კომუნისტებსა და მშრომელებს, თუ როგორ მუშაობს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატის, სახალხო კონტროლის, სასამართლოსა და პროკურატურის ყველა რგოლი. ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი, როცა მიუთითებდა მუშაკებს, რომლებსაც ეშინოდათ ნაკლოვანებებზე საჯაროდ ლაპარაკი, წერდა, რომ „საჯაროობა მახვილია. რომელიც თვითონვე კურნავს მის მიერვე მიყენებულ ჭრილობებს“. და ამ ბოლო წლებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია განუხრელად ადგას ამ გეზს

საკითხი ის არის, რომ ბეჭდვითი სიტყვაც როგორც საერთო პარტიული საქმის ნაწილი, ყოველნაირად ზრდიდეს შემოქმედების წვლილს ამ გეზის განხორციელებაში. უფრო აქტიურად ჩენდეს თავს ძიებაში. ცხოვრებისაგან წამოჭრილი პრობლემების ანალიზსა და გადაწყვეტაში, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში. საამწუხაროდ, პარტიულ თემაზე რესპუბლიკური გაზეთების არცთუ ცოტა საკუთარ მასალას ახასიათებს წვრილმანთემიანობა, ანალიზის დაბალი დონე, სტანდარტულობა. სქემატური დასკვნები. პრესა უმეტესად აკრიტიკებს მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებს, საკვანძო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს, ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. გაზეთი „კომუნისტი“, და სხვებიც, იშვიათად ანალიზებენ ერთიანად, ხალქალაქი და საოლქო პარტიული ორგანიზაციების, სამინისტროთა და საგუბერნო ორგანოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილსა და მეთოდებს.

გ.ზეთს აშკარად აკლია ნამდვილი გაბერიახობა, დამოუკიდებელი ინიციატივა, გააზრებული გეზი თავისი მთავარი თემის — პარტიული ცხოვრების თემის გაშუქებაში. მაგალითად, განა მეკვრმეტყველური არ არის ასეთი შტრიხი: თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს პარტიულ თემატიკაზე საკუთარი მეთაური სტატიები, რომლებიც განვლილ წლებში დაბეჭდა „კომუნისტის“ რედაქციამ.

შარშან ზაფხულში გაზეთმა რედაქციის „მრგვალ მაგიდასთან“ საინტერესო და ფრიად სასარგებლო სჯა-ბაასი გამართა მუშაობაში ლენინური ეთიკის დამკვიდრების თაობაზე. რედაქციამ ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა ამ დისკუსიის შესახებ და მკითხველებს დაპპირდა, რომ განაგრძობდა მას. მაგრამ დაპირება, როგორც იტყვიან, დაპირებად დარჩა.

შემთხვევითი არ იყო, რომ იდეოლოგიური მუშაკების რესპუბლიკურ თათბირზე წუხილი გამოთქვა უკანასკნელ ხანს რესპუბლიკური პრესის საქმიანობაში შემჩნეული გარკვეული დაქვეითების გამო. მისი როლი რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარე დადებითი ძვრების განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში მნიშვნელოვნად უფრო ქმედითი და პრინციპული შეიძლება იყოს და უნდა იყოს კიდეც. პრესის ორგანოებმა რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკვანძო პრობლემები. აი ერთ-ერთი მაგალითი. კომუნისტები და უპარტიო მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია მავნე ტრადიციების, პროტექციონიზმისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების საბოლოო ამოძირკვა. ვინ არ იცის, რომ წარსულის გადმონაშთების ლიკვიდაცია ერთი დღის საქმე არ არის, იგი მოითხოვს კარგად მოფიქრებულ და ყოველმხრივ აღმზრდელობითს მუშაობას, საზოგადოებრივი აზრის უნარიან მობილიზაციას, პუბლიცისტური საშუალებების მთელი არსენალის გამოყენებას.

მაგრამ გაზეთმა „კომუნისტმა“ ამჯერად ვერ შეძლო საზოგადოებრივი აზრის ნამდვილი გამომხატველისა და მებრძოლი ორგანიზატორის დონემდე ამაღლება. ვერ შევურიგდებით იმას, რომ პრესა საკმაოდ ზერელედ გვესაუბრებოდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა ცხოვრების აქტუალურ მხარეებზე, ჯეროვნად არ ეხმარებოდეს ახალგაზრდა კომუნისტებსა და ხელმძღვანელ ორგანოებში ახლად არჩეულ პარტიულ მუშაკთა კადრებს. ამ პრობლემატიკის გაშუქება რამდენადმე გამოცოცხლდება ხოლმე მხოლოდ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიების დროს.

საქართველოს კომუნისტები და ყველა მშრომელი აღფრთოვანებულ იქ ფაქტმა, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა და მხარი დაუჭირა მას. მაგრამ, როგორც ჩანს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში სათანადოდ ვერ შეაფასეს ის, რომ მიღწეული მხოლოდ დასაწყისია, რომ ჯერ კიდევ ბევრი და დაძაბულად უნდა ვიმუშაოთ ადამიანთა იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის დარგში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიულ კომიტეტებს ავალებს კვლავაც დაუცხრომლად იზრუნონ პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლა ინუნარიანობის გაზრდისათვის, მაინ რიგების შეკავშირებისა და სიწმინდისათვის, მიაღწიონ იმას, რომ თითოეულ კომუნისტს ახასიათებდეს პოლიტიკური მებრძოლის ნიშან-თვისებები.

მაგრამ გაზეთი ღრმად არ სწვდება იმ ახალს, რაც დღეს იბადება პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებში. შიგადაშიგ, იშვიათად წერს იგი, მაგალითად, რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტული ინიციატივის განვითარებაზე, რომელებმაც მშრომელებს მოუწოდეს: „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდთან!“. გაზეთის არათანამიმდევრულობა მით უფრო გაუმართლებელია, რომ ამ თაობაზე რესპუბლიკაში ეჭეშმარიტად მასობრივი მოწონებითა და მხარდაჭერით შეხვდნენ.

პარტიული კომიტეტების პრაქტიკა ერთ ადგილს არ ტკეპნის, იგი არსებითად გამდიდრდა უკანასკნელ წლებში. ამ პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ ინერგება პარტიული მუშაობის მეცნიერული მეთოდები, ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და განზოგადების ახალი ფორმები, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა მკვეთრად ამაღლებულიყო მიღებულ გადაწყვეტილებათა აქტუალობა, დასაბუთება და ქმედითობა, გაუჭკიბებულიყო მათი შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი. ინტენსიურად ეძებენ სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, ორგანიზაციულ-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დარგში საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ჯერ გამოუყენებელ რეზერვებს, იქმნება პირობები კომუნისტებისა და უპარტიო მშრომელების შემოქმედებითი ინიციატივის რაც შეიძლება სრული გამოვლინებისათვის.

და, რა თქმა უნდა, „გაზეთი „კომუნისტი“, მთელი რესპუბლიკური პარტიული პრესა ამ პროცესების შუაგულში უნდა იყოს. მან კვალიფიციურად უნდა განაზოგადოს და გაავრცელოს პარტიული ორგანიზაციების მიერ შეძენილი საუკეთესო გამოცდილება, მებრძოლურად გაალაშქროს ხოლმე ნაკლოვანებებისა და ხარვეზების წინააღმდეგ, დაამკვიდროს სიტყვისა და საქმის ერთიანობა და მუშაობის ლენინური სტილის მოთხოვნები.

გ. ლეგანიძე,
(„პრავდის“ კორ).

ქ. თბილისი.

„პრავდა“, 14/XI, 77 წ.

კომუნისტი ამბობს სიტყვას

მალთაყვაში, შავი ზღვისპირას აღმართულა ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის“ კორპუსები. აქაური პროდუქცია საზღვარგარეთის 26 ქვეყანაში იგზავნება. მასზე დიდი მოთხოვნაა ინდოეთში, პაკისტანში, ავღანეთში, არგენტინაში, ირანში, ალჟირში... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. აქაურმა კომუნისტებმა კარგად იციან, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრება მათს პარტიულ ორგანიზაციას საწარმოს გამართული და რიტმული მუშაობისათვის, კოლექტივის თითოეული წევრის კომუნისტური შეგნებით აღზრდისათვის.

ყოველივე ეს ნათლად გამოჩნდა პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელმაც პარტბიუროს საანგარიშო მოხსენებასთან ერთად განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

მეტად საყურადღებო იყო კამათის მონაწილეე ბევრი კომუნისტის გამოსვლა. ქვემოთ გთავაზობთ ერთ-ერთი მათგანის, ქარხნის საამწყობო საამქროს ზეინკლის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატის, პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის წევრის ნინო კორტაკაპას სიტყვის ჩანაწერს.

ჩვენი მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შარშან 26 ივნისს მიღებული დადგენილება დიდი შეფასებაა იმ ნამდვილად პრინციპული და ნაყოფიერი მუშაობისა, რომელიც ამ ბოლო წლებში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის გასწია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიზნადასახული მუშაობა ადამიანთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის, ჩამორჩენილობის, რუტინის აღკვეთისათვის. ჩვენ, მუშები, ხშირად ვსაუბრობთ, ემსჯელობთ, ერთმანეთს ვადარებთ არცთუ ისე შორეულ წარსულსა და ახლანდელს, და, მართალი გითხრათ, ვინ მოთვლის, რამდენ სასიკეთო რამეს ვხედავთ. გეკამაყება, რომ დაფასდა მუშის შრომა, ამაღლდა მომთხოვნლობა ყველგან და ყველას მიმართ.

უკვე დავიწყებას მიეცა ის დრო, როცა ქარხნის კოლექტივი ჩამორჩებოდა, ვალში იყო სახელმწიფოს წინაშე. უკანასკნელ წლებში რესუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარმა სასიკეთო ცვლილებებმა, ძირეულმა შემობრუნებამ ჩვენი ქარხნის ცხოვრებასა და მოდგაწეობაზეც დიდი გავლენა მოახდინა. აი უკვე მეხუთე წელია იგი აღმავლობის გზით მიდის. და ეს ქარხნის კომუნისტების, კომკავშირელების, მოწინავეების თავდადებამ განაპირობა. ჩვენი მიზანია კიდევ უფრო ავამაღლოთ მინდობილი საქმისათვის ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობა, გავაუმჯობესოთ შესრულების შემოწმება და კონტროლი.

პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობა საანგარიშო პერიოდში მიზნად ისახავდა იმას, რომ დიერაზმა ქარხნის კოლექტივი, მისი ლომენსტრატი საწარმოო გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების დროულად და ხარისხოვნად შესრულებისათვის.

განსაკუთრებით კარგად ვიშრომეთ საეტაპოდ ეწელს. 9 თვის გეგმით გათვალისწინებული 2 მილიონ 900 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამოშვებულია 2 მილიონ 930 ათასი მანეთის პროდუქცია. გადაჭარბებით შეასრულეთ რეალიზაციის გეგმაც. შარშანდელ ამ პერიოდთან შედარებით წარმოების ზრდის ტემპმა მთლიან პროდუქციაში 79 ათასი მანეთი შეადგინა. თვითღირებულების შემცირების გზით დავზოგეთ 7 ათასი მანეთი, ამ ხნის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება 18 პროცენტით გაიზარდა.

ამ საერთო ციფრებში ჩვენი საამქროს წვლილიც არის. არ შეიცდები, თუ ვიტყვი, რომ საამწყობო-საამქრო ქარხნის სული და გული ვარ. მე აქ მისი ბეჭნების დღიდან ვმუშაობ. იგი შეჯიბრებაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდის, სხვა საამქროებს პირველობას არასოდეს არ უთმობს და სარკეზე

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲙᲣᲑᲐ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲤᲠᲐ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. კუბაში დაიწყო საფრა — 1977-1978 წლის მოსავლის შაქრის ლერწმის აღებისა და გადამუშავების სეზონი.

ყოველწლიურად მაღლდება შაქრის ლერწმის აღების მექანიზაცია. მიჩეტეროს ახლა ცვლის სულ უფრო მეტი „სასწაულმოქმედი მანქანა“, როგორც კუბაში უწოდებენ ლერწმის ასაღებ კომბაინ-1“ კომბაინებს, რომლებიც შემოქმედებითი თანამეგობრობით შექმნეს საბჭოთა და კუბელმა სპეციალისტებმა. წინათ ამ კომბაინებს სსრ კავშირი აწვდიდა, მიმდინარე წლიდან კი კუბა შეუდგა მათს წარმოებას ქალაქ ოლგინის ქარხანაში, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა.



სულ უფრო იზრდება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. ქალაქ ტაპოლეცეში მშენებარე ამ საცხოვრებელი კომბლექსის (სურათზე) ახალ ბინებში ამას წინათ ასამდე მეშახტის ოჯახი ჩახახლდა.

მპი-საკდესის ფოტო.

ᲒᲝᲠ

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. 2,5-ᲯᲔᲠ გაიზარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო წარმოების მოცულობა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. ამას ძირითადად იმის წყალობით მიაღწიეს, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ინდუსტრიულ საფუძველზე გადაიყვანეს. მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის მშრომელთა პროფესიული მომზადების დონეც. ახლა ამ სფეროში დასაქმებულ მუშაკთა 80 პროცენტზე მეტს მექანიზატორის, ტრაქტორისტისა და სხვა პროფესიების მოწმობა აქვს.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

ᲛᲝᲬᲧᲝᲛᲑᲘᲚᲝᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲠᲐᲰᲐ. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრადეც-კრალოვეს მანქანათმშენებელი ქარხნის „ძლევამოსილი თებერვლის“ კოლექტივი შეუდგა მორიგი დიდი საბჭოთა შეკვეთის შესრულებას. აქ დაიწყო პირველი ხაზის დამზადება, რომელიც კარბამიდს გამოუშვებს. ხაზის მწარმოებლობა დღეში 1000 ტონა ამ აზოტიან სასუქს აღემატება. უახლოეს წლებში ჩეხოსლოვაკიელი მანქანათმშენებლები სსრ კავშირს აქვს ასეთი ხაზს გაუგზავნიან. ხაზები დაიდგმება ბროდნის, ონვბრომერეინსკისა და ჩერკასის ქიმიურ კომბინატებში, რომლებიც მინერალურ სასუქებს უშვებენ.

ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. ახალი ელექტრონულ-გამოთვლითი ცენტრი გადაეცა საეკსპლოატაციოდ ბუდაპეშტის შემკეთებელ საწარმო „გელკაში“. ცენტრის ელექტრონულ მოწყობილობათა შექმნასა და დამონტაჟებაში საბჭოთა სპეციალისტები მონაწილეობდნენ. ელექტრონული ტექნიკის დახმარებით საწარმოში ყველა ტექნოლოგიურ პროცესს ავტომატურად მართავენ.

ახალი ცენტრის შექმნა უნგრეთის სახალხო მეურნეობაში გამოსათვლელი ტექნიკის ფართოდ დანერგვის მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია. ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანები მართავენ ახლა მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნების მუშაობას, რკინიგზის შემადგენლობებისა და საკლაქო ტრანსპორტის მოძრაობას, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სამშენებლო სამუშაოებს. რესპუბლიკაში სულ მომზადებულია ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის მომსახურე 20 ათასზე მეტი სპეციალისტი.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲠᲝ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. რუმინეთის დედაქალაქში დამკვრელური ტემპით შენდება მეტრო. მშენებლები ვარაუდობენ მომავალი წლის მაისში გადასცენ საეკსპლოატაციოდ 8 კილომეტრი სიგრძის მეტროპოლიტენის პირველი რიგი. ეს ხაზი გადაკვეთს დედაქალაქის ცენტრს და ერთმანეთთან დააკავშირებს აღმოსავლეთ და დასავლეთ ბუქარესტის სამრეწველო რაიონებსა და მჭიდროდ დასახლებულ საცხოვრებელ უბნებს.

ამჟამად უკვე გაყვანილია ექვსი ათასი მეტრი სიგრძის გვირაბები, ზოგიერთ გაყვანილ უბანზე კი უკვე წარმოებს პირველი მატარებლის ტექნოლოგიური გამოცდა.

(საკდესი, 14 ნოემბერი).

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 13 ნოემბერი. (საკდესი). გამომცემლობა „გენდაი-ნო ხეკაისამ“ იაპონურ ენაზე გამოსცა წიგნი „მშვიდობასთან, დემოკრატიასთან და სოციალიზმთან ერთად. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი“. წიგნში ასახულია სკკს ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა, საბჭოთა კავშირის განვითარებისა და მიღწევების ისტორიული ეტაპები. წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნულია ლ. ი. ბრეჟნევის ფთვალსაჩინოესი ღვაწლი მარქსისტულ-ლენინური თეორიის განხორციელებაში, რისი პრაქტიკული შედეგიც გახდა სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება. ლ. ი. ბრეჟნევისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი თანამეგზურეობის უდიდესი ფაქტორია, რომელიც გაკვლევს ახდენს მსოფლიო მასშტაბით, ხაზგასმულია წინასიტყვაობაში. მიაღწია რა განვითარებულ სოციალიზმის სტადიას, ნათქვამია შემდეგ წიგნში, საბჭოთა კავშირმა ფთისახა უზენაესი მიზანი — კომუნისტური საზოგადოების აშენება. სწორედ ამ მიზანს უძღვნის მთელ თავის სიცოცხლესა და საქმიანობას ლ. ი. ბრეჟნევი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ — ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲓᲠᲝᲘᲗ ᲜᲐᲪᲐᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲓᲔᲚᲘ, 14 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირთან მეგობრობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ინდოეთის საგარეო პოლიტიკისა, რომელიც მოწოდებულია მშვიდობის საქმეს ემსახუროს, განაცხადა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ბ. ვაჯპაიმ. ამ მეგობრობას შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. მან დროის გამოცდას გაუძლო, რადგან თანასწორობისა და ერთმანეთის რნტერესების პატივისცემას ემყარება, თქვა მინისტრმა.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიკური თანამშრომლობა, განაგრძო მან, არა მარტო ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებას, არამედ სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური სისტემების მქონე ორი ქვეყნის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის მაგალითია.

ა. ბ. ვაჯპაიი აქ გამოვიდა ჯაჰარლალ ნერუს 1977 წლის პრემიების გადაცემის ცერემონიაზე, რომელსაც ყოველწლიურად ანიჭებენ წვლილისათვის ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და, ფედამიწაზე მშვიდობის განმტკიცების საქმეში. წელს სამი პირველი პრემია მიიღეს ეროლისტმა მ. გ. დესაიმ, პროფესორმა ხ. მუკერჯიმ და მწერალმა ჩ. გ. ვიდიალანკარმა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ უდიდეს ქალაქებში ორ კვირაზე მეტ ხანს გაგრძელდება საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების პირველი ფესტივალი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა მოსკოვისა და მოკავშირე რესპუბლიკების მსახიობთა დიდი ჯგუფი. ფესტივალის დღეებში ინდოეთის მცხოვრებნი გაეცნობიან თანამედროვე საბჭოთა ფერწერის, ფოტოგრაფიისა „სსრ კავშირი — მშვიდობისა და სოციალიზმის ქვეყანა“. საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვან ისტორიას ასახავენ კინოჩვენების პროგრამაში შეტანილი ფილმები, ინდოეთის ტელევიზიისა და რადიოს გადაცემები. (საკდესის კორ.).

ᲡᲬᲝᲠᲘ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲓᲒᲐᲜᲐᲜ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 14 ნოემბერი. (საკდესი). საბერძნეთის კომუნისტური პარტიის საარჩევნო პროგრამის მბრძანებლის მასობრივ მანიფესტაციად გადაიქცა მიტინგი, რომელიც აქ მოაწყო საბერძნეთის კომუნისტურმა პარტიამ პარლამენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. ათიათასობით ათენელი მოვიდა მიტინგზე ლოზუნგებითა და პლაკატებით, რომლებზეც წარწერილი იყო: „ხმა მიეცით საბერძნეთის კომპარტიას“, „ჩვენ მზარს ვიჭერთ ძლიერ საბერძნეთის კომპარტიას პარლამენტსა და ხალხში“, „წინ — ახალი საბერძნეთისათვის ბრძოლაში“.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ხ. ფლორაკისმა. კომპარტია, ხაზი გაუსვა მან, ერთადერთი პარტიაა, რომელიც მტკიცედ აგდგას ანტიიმპერიალისტურ პოზიციებს, იცავს ხალხის ინტერესებს და მოიფიქრა დაუყოვნებლივ გადაეტანონ უცხოთის ყველა საბრძოლო ბაზა საბერძნეთის ტერიტორიაზე, გამოვიდეს საბერძნეთი ნატოდან, იბრძოლოს „საერთო ბაზარში“ ქვეყნის მონაწილეობის წინააღმდეგ.

ათენის მიტინგმა, წერს გაზეთი „ეროსპასტისი“, ერთხელ კიდევ ცხადყო ათენის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ურყევი ნება მხარი დაუჭირონ საბერძნეთის კომპარტიას დემოკრატიისა და პროგრესისათვის ბრძოლაში, მხურვალე მიღება, რომელსაც ამომრჩეველები უწევენ საბერძნეთის კომპარტიის კანდიდატებს, და მოწმობს, რომ კომუნისტები სწორ გზას ადგანან.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲗᲗᲕᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ

ᲙᲔᲚᲘᲜᲘᲜᲘ. 14 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის ერთთვიურის ფარგლებში დაიწყო ფინეთისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ტრადიციული კვირეული. მასში მონაწილეობს სსრ კავშირის პროფკავშირული დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 14 ნოემბერი. (საკდესი). აქ მიმდინარე დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის მე-3 ყრილობაზე განიხილავენ პარტიის პროგრამის პროექტსა და დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აქტუალურ ამოცანებს.

ორატორები დიდ ყურადღებას უთმობენ ქვეყნის მთელი მეგბარეებენე ძალების შეკავშირების მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლაში — ბრძოლაში, რომლის საბოლოო მიზანია მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება და ინგლისში სოციალიზმის აშენება. ყრილობის დელეგატთა გამოსვლებში გაისმოდა მტკიცე მოთხოვნა, რომ სასწრაფოდ განხორციელდეს ეფექტიანი ღონისძიებანი ქვეყანაში უმუშევრობის ლიკვიდაციისათვის, მოტლანდიისა და უელსის ავტონომიის უზრუნველყოფისათვის.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ჩამოყალიბებულია პროგრამა, თუ როგორ უნდა მოქმედდეს დიდი ბრიტანეთის კომპარტია რასიზმისა და ფაშიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყრილობა, კერძოდ, მოუწოდებს იბრძოლონ ბრიტანეთის კუნძულებზე „დისკრიმინაციული სიმდგრაციო კანონების გაუქმებისათვის, ეროვნულ უმცირესობათა ნამდვილი თანასწორუფლებიანობისათვის.

„ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲐᲓᲚᲘᲡ“ ᲛᲘᲚᲝᲒᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ: ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠᲛᲐ გაზეთმა „ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲓ ᲒᲚᲝᲑᲘᲜᲣᲛᲐ“ სტატია გამოქვეყნა, პეკინის პოზიციაზე იმ საკითხებში, რომლებსაც ეეროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ბელგრადის შეხვედრაზე განიხილავენ. ახალი ამბების საგენტო მკითხველებს სთავაზობს ამ სტატიას მცირეოდენი შემოკლებით.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ პროგრესული ძალები, ყველა სალად მოაზროვნე პოლიტიკოსი ცდილობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს შეუქცევადი ხასიათი მიანიჭონ, ᲒᲐᲠᲬᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ევროპის კონტინენტზე თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოებისათვის. ეს, რა თქმა უნდა, არ ეპიტნავებათ რეაქციის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის მომხრეებს, რომლებიც ჯერ იმას ცდილობდნენ, რომ არ დაიშვათ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა, ახლა კი სურთ შეაჩერონ ევროპაში დაძაბულობის შემდგომი შენელების პროცესი. უცნაურია, მაგრამ მათ ბანაკში აღმოჩნდნენ პეკინელი ხელმძღვანელებიც.

რატომ არის, რომ პეკინი ობიექტურად იმპერიალიზმის ხელშემწყობად გვევლინება? ცნობილია, რომ ჩინეთის ყველა მმართველი დაჯგუფება ახორციელებდა და კვლავ ახორციელებს ჰეგემონიზმის, ანტისაბჭოურობისა და მეზობლებისადმი ტერიტორიული პრეტენზიების პოლიტიკას, კვლავ ილაშქრებს დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის წინააღმდეგ. და ეს, ცხადია, აიძულებს მათ დაუახლოვდნენ ყველაზე რეაქციულ რეჟიმებსა და კონსერვატიულ წრეებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ პეკინში აღმფოთებით შეხვდნენ ცნობებს, რომ ბელგრადში მოსამზადებელი შეხვედრა არ ჩაიშალა და ამ შეხვედრაზე საქმე აზრმა გამარჯვა. როცა პროგრესული საერთაშორისო საზოგადოებრიობა მიესალმა სრულიად ევროპის თათბირის შედეგებს, სინჰუას საგენტო წინასწარმეტყველებდა ევროპის „ცა იღრუბება, ოფის ფაქტორი მატულობსო“. პეკინის პრობაგანდამ ყველაფერი იღონა, ოღონდ დაეკნინებინა თვით თათბირის მნიშვნელობა და ამტკიცებდა, თითქოს ევროპაში შეიძლებელი იყოს დაძაბულობის რაიმე შენელება.

პეკინი განსაკუთრებით თავგამოდებით ესხმოდა თავს საბჭოთა აქტის იმ დებულებებს, რომლებიც დადასტურებენ სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის პრინციპს. საქმე ის გახლავთ, რომ პეკინის ხელმძღვანელობა არასოდეს არ მალავდა თავის ტერიტორიულ პრეტენზიებს და მსოფლიოს რუკის გადაკეთების მისწრაფებას. ჩინელ ექსპანსიონისტებს, მაგალითად, ბევრი მეზობელი აზიური ქვეყანა მიაჩნიათ „თავიანთ დაკარგულ ტერიტორიებად, რომლებიც ჩინეთს უნდა შეუერთდეს“. ცნობილია ისიც, რომ ჩინეთში გამოცემულ გეოგრაფიულ ატლასებში და რუკებზე სსრ კავშირის, ინდოეთის, მონღოლეთის, კორეის, ვიეტნამის, ავღანეთის, ლაოსის, ბირმის, მალაზიის, იაპონიისა და ფილიპინების ტერიტორიების ნაწილი — სამ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი — მიჩნეულია „ჩინეთის ოდინდელ ტერიტორიად, რომელიც იმპერიალისტებმა მოგლეჯეს საბრძოლოს“.

ჩინეთის ხელმძღვანელობა, რომელიც ცდილობს საზღვრის დაძაბულობის შენელების პროცესს, მოკავშირეებს უმთავრესად დასავლეთ ევროპაში ეძებს. მაო ძე-დუნის გარდაცვალების შემდეგ პეკინში იტალიის, ბოსნიშერეს დასავლეთ ევროპას ყველაზე რეაქციული იმპერიალისტური წრეების წარმომადგენლებმა, რომლებიც მალე პოლონეთს ხელიც ეკონომიკურ ენას ჩინეთის ლიდერებთან მშვიდობის, დაძაბულობის შენელების საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მშვიდობისმოყვარეობის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. ბიელოლეთად, პეკინიდან დაბრუნების შემდეგ ინგლისის კონსერვატიული პარტიის ლიდერმა მ. ტატჩერმა განაცხადა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან „ურთიერთგაგების ატმოსფეროა“. პეკინსა და ინგლისელ ტორებს „საერთო ინტერესები“ აქვთო. გერმანიელ ოდერაციული რესპუბლიკის მემარჯვენე წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს მაოისტები დასავლეთგერმანელ რევანშისტებს აშკარად მოუწოდებდნენ „ბოლო მოეღოთ გერმანიის გათიშვისათვის“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „შთანთქმის“ გზით.

პეკინის მოწოდებანი, რა განმტკიცონ ნატო „საბჭოთა საფრთხის“ წინაშე, მთლიანად შეესაბამება გამაბალებელი შარაღების იმპერიალისტურ კურსს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ნატოს შტაბბინაში ჩინეთის ამ პოზიციას „მეწყალად იხსენებენ“.

მაშასადამე, ფაქტები აღტურებენ, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობა განაგრძობს ობიექტურად ძალებთან დაახლოებას, ერთს და მათთან ერთად ერთთო თრონტით გამოდის ევროპის ხალხმეფეთა ურთიერთობის გაღრმავებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავების წინააღმდეგ.

ᲒᲐᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველმა კომიტეტმა ერთსულოვნად მოიწონა მთელ რიგ მიუმხრობელ სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია „გამალებული შეიარაღების ეკონომიკური და სოციალური შედეგები და მისი დამღუპველი გავლენა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებაზე“.

რეზოლუციაში, კერძოდ, აღნიშნულია: მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ნიადაგ მოუწოდებს ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ეს შეიარაღება შემაშფოთებელი ტემპით ძლიერდება. იხარჯება უზარმაზარი მატერიალური და ადამიანთა რესურსები, რაც შეიძლებოდა ყველა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას მოხმარებოდა. და, რა თქმა უნდა, გამალებული შეიარაღება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

მიღებულ დოკუმენტში აგრეთვე ნათქვამია, რომ გამალებული შეიარაღების ესკალაცია შეუთავსებელია ღონისძიებებთან, რომლებიც მიზნად ისახავენ ახალი საერთაშორისო ეკონომიკური რეჟიმის დამყარებას. რეზოლუცია ყველა სახელმწიფოს მოუწოდებს მტკიცედ იმოქმედონ გამალებული შეიარაღების შესაწყვეტად და ეფექტიანი ღონისძიებების განსახორციელებლად გაიარაღების, უწინარეს ყოვლისა კი ბირთვული განიარაღების დარგში.

ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 13 ნოემბერი. (საკდესი). ქალაქის რკინიგზის სადგურში 30 ტონა დინამიტით დატვირთული მატარებლის ავეთქების შედეგად თითქმის მთლიანად დაინგრა სამხრეთ კორეის ქალაქი ირი. აფეთქებული ლოკომოტივისა და ვაგონების ნამსხვრევები რამდენიმე კილომეტრზე მოეფინა ქალაქს და ძლიერი ხანძრები გამოიწვია. აფეთქების ტალღამ ნაგრეგებად აქცია ათასობით სახლი.

როგორც სეულიდან იუწყებიან, დაიღუპა 56 კაცი, 1.400 დაშავებულიდან 300-ზე მეტი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ქალაქისათვის მიყენებულ მატერიალურ ზარალს დაახლოებით 20 მილიონ დოლარად აფასებენ.

აფეთქების მიზეზები ჯერჯერობით ვერ დაადგინეს. მაშველი რაზმები განაგრძობენ ქუჩების წმენდის სამუშაოებს ქალაქში, საიდან უსახლკაროდ დარჩა თითქმის 14 ათასი კაცი.

აღგილსამყოფი მეთვალყურენი ირიში მომხდარი ტრაგედიის უკავშირებენ პაკ ჯონ ჰის მარიონეტული რეჟიმის პოლიტიკას, რომელიც ქვეყნის მილიტარიზაციას ეწევა და აქტიურად ზრდის სამხედრო პოტენციალს.

ᲠᲝᲓᲔᲖᲘᲐ: ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲗᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲠᲝᲓᲔᲖᲘᲔᲚᲘ რასისტები განაგრძობენ ქვეყანაში ტერორის ვითარების გაღვივებას. დაპატიმრებანი, მოკლალეთა ჩხრეკა ბევრი ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: აფრიკელთა დაპატიმრება სოლსბერიში მორიგი „წესრიგის დამყარების“ დროს.

კამერა პრეს-საკდესის ფოტო.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘ

ᲑᲔᲚᲒᲔᲓᲔᲠᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ რადიოსადგურები, ამბენლის შესახებ ცნობებს რომ გადასცემენ, რეგულარულად იუწყებიან, „ცენტრალურ პარკში ჰაერის ტემპერატურა ამდენი და ამდენიაო“.

ამ პარკში, დაახლოებით მის გეოგრაფიულ ცენტრში, აღმართულია უზარმაზარი ციხე-სიმაგრე — კოშკი, რომელსაც ბელგედერის ციხე-სიმაგრეს ეძახიან. იგი ანეკდოტად დაკეტილია. მასში არავინ არ ცხოვრობს. აქ განლაგებულია მეტეოროლოგიური სამსახურის ავტომატური ხელსაწყოები და დანადგარები. ქალაქს ეს ძირითადი მეტეოსადგური 109 წლისაა. ახლა კი ბელვედერის ციხესიმაგრის აღსასრულის დღე დგება. პოლიციას არ ძალუძს მისი დაცვა მძარცველებისა და ბანდიტებისგან, რომლებიც იპარავენ ხელსაწყოებს, აზიანებენ დანადგარებს. ამის გამო ნიუ-იორკელები მოკლებული არიან მეტეოროლოგიურ ინფორმაციას და მის ნაცვლად სისტემის სამართლის ქრონიკის მორიგ დოზას იღებენ. ამჟამად საქალაქო მეტეოსადგურისათვის ეძებენ ადგილს რომელიმე ცათამჯენის სახურავზე. და ალბათ მალე რადიომიმღებები ასეთ ცნობას მოისმენენ: „ჰაერის ტემპერატურა პოლიციის ცენტრალური სამმართველოს შენობის თავზე...“

ᲞᲘᲙᲐᲡᲝ... ᲖᲔᲦᲬᲔᲠᲔᲑᲖᲔ

ᲙᲝᲚᲝᲛᲑᲘᲐ „ᲛᲐᲡᲘᲤᲘᲒ ᲰᲝᲣᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ“ სამემდგომად უმვებს ზეწრებს, რომლებზეც ალბეჭდილი იქნება პაბლო პიკასოს სურათების რეპროდუქციები. სათანადო იერიდიული ნებართვა ერეკლება მხატვრის ყველა ნაწარმოებზე — ადრინდელი შემოქმედების „ცისფერი“ პერიოდით. დაწყებული და უკანასკნელი ეროტიკული ნახატებით.

ᲒᲔᲚᲕᲔᲓᲔᲠᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲒᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ რადიოსადგურები, ამბენლის შესახებ ცნობებს რომ გადასცემენ, რეგულარულად იუწყებიან, „ცენტრალურ პარკში ჰაერის ტემპერატურა ამდენი და ამდენიაო“.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ „ᲛᲪᲮᲝᲛᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ“

№ 1600 სახლი ვაშინგტონის პენსილვანიის ავენიუზე, რომელიც ცნობილია აგრეთვე როგორც „თეთრი სახლი“, საუწყებო საცხოვრებელ ფართობს მეგიუთვნება, რომელსაც ფარავენ ბელეტენი პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ქირაობს და ათავისუფლებს სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

მიუხედავად ამისა, თეთრ სახლში არიან მუდმივი „მცხოვრებლები“ — თაგვები. ისინი სრულიად თავისუფლად დანავარდობენ, რასაც უზრუნველყოფს საკენტლაციო შუტები. ხვრელებიანი კრიჭიდან ისინი ნებისმიერ ვრიეს. ცხვირი გაუტეხეს. ხმი ათასი დოლარი წაალიჯეს.

მართალია, მაიკლ მარინი ოცჯერ მოხვდა საავადმყოფოში, მაგრამ თავისი ცხოვრების წესის შეცვლას არ აპირებს. „ერთხელ შობილი ერთხელ მოკვდებაო“, ამბობს იგი. თავდასხმებმა მაიკლი ვაიაკაფა და ეამაყება კიდეც, რომ თავისებური რეკორდი დამყარა. მარინი ხომ იმის ცოცხალი მაგალითია, რომ ამერიკაში ცხოვრება შეიძლება...

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ „ᲛᲪᲮᲝᲛᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ“

ᲝᲗᲮᲒᲝᲠᲒᲚᲘᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲝᲠᲒᲝᲠᲒᲚᲘᲐᲜᲖᲔ

ᲕᲚᲘᲗᲘᲣᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲗ ᲘᲬᲠᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲬᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲬᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲬᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ

ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡ ᲨᲔᲠᲔᲑᲘ

ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲛᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 14 ნოემბერი. (საკდესი). მას შემდეგ, რაც ფარდა დაეშვა, პოლონეთის დედაქალაქის კულტურისა და მეცნიერების სასახლის კონგრესების დარბაზში შეკრებილი დიდძალი მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობებს.

კავკასიის ხალთა ცეკვაგან ცეკვებს, ლირიკულ სიმღერებს ადგურთოვანებით შეხვდა მაყურებელი. ანტრაქტის დროს მსახიობთა საშემსრულებლო ხელოსნური და სხვა ხალხური ცეკვები. ანსამბლის რეპერტუარშია ალრეთვე ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ძირითადი ცეკვა „ქართული“, მთიელთა ძველი ცეკვა „მთიულური“, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე ქართული ცეკვა „ხანჯლური“, და ქორეოგრაფიული სცენა „ოთარაანთ“.

მაყურებელი მოიკითხა ლირიკულმა ოსურმა ცეკვამ „სიმღერა“, თეატრალიზებულმა ქორეოგრაფიულმა წარმოდგენამ „საქორწილომ“ და ქალთა ძველმა ცეკვამ „სამაიამ“.

„სიმღერისა და ცე

ისტორიკოსთა ფორუმი

□

„მცირე მიწაზე“

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა საკავშირო რეგიონალური სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია თემაზე: „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები დიდი სამამულო ომის წლებში ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის ბრძოლებში“, რომელიც ოთხ დღეს მიმდინარეობდა გმირ ქალაქ ნოვოროსიისკში, „მცირე მიწაზე“ ახლადშენებულ სახლეთა უმაღლესი საინჟინრო სასწავლებლის დიდებულ შენობაში.

კონფერენციის მუშაობაში, რომელიც მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი ისტორიკოსები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ალმა-ათიდან, ერევნიდან, როსტოვიდან, ყაზანიდან, ვორონეჟიდან და ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებიდან.

კონფერენციია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, პარტიის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. მედეხინმა.

ფორუმის მონაწილეთა სახელზე მოვიდა სახელგანქმული მხედართმთავრების საბჭოთა კავშირის მარშალ ა. მ. ვასილევსკის, არმიის გენერლების დ. ლელიუშენკოს და ი. ტიულენევის, გიკე-ადმირალ გ. ხოლოსნიაკოვის მისასალმებელი დეპეშები. კონფერენციის პლენარულ სხდომებზე და შვიდ სექციაში წაკითხულ იქნა მრავალი მოხსენება.

ჩვენი რესპუბლიკიდან კონფერენციაზე მოხსენება გააკეთეს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა დოცენტებმა გიორგი თევზაძემ (თბილისი), ივანე ცხოვრებოვმა (ქ. ცხინვალი) და ამ სტრიქონების ავტორმა.

კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები დაიბეჭდება ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებულში.

სამამულო ომის პრობლემებზე მომუშავე მკვლევარმა ისტორიკოსებმა „მცირე მიწიდან“ მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს მე-18 არმიის ყოფილ პოლკგანყოფილების უფროსს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ს. ა. ბრეჟნევს.

ტ. ჩინჩილაკაშვილი,
კონფერენციის მონაწილე.

საკადრისად დაისახნენ

□

„ეროვნელთა საჩივრებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის

□

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ განიხილა ის კითხი, რომ ქალაქ თბილისის ტმობრის რაიონის პროკურატურის ზოგიერთი მუშაკი ფორმალურ-ბიუროკრატიულად ეკიდება მოქალაქე რ-ს საჩივარს.

როგორც კოლეგიაზე აღინიშნა, ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორის თანაშემწეს თევდორაშვილს, რომელმაც ადგომი ორგანოებისაგან მოქალაქე რ-ს საჩივარი მიიღო, მოეთვინა განმაცხადლობი არ განუხილავს იგი და შემდეგ სრულიად იფუძვლოდ გადასცა კალენინის რაიონის პროკურატურას.

ამის შემდეგ ამ საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება კვლავ ნ. თევდორაშვილს ევალა, მაგრამ მან კვლავ ვერ ირიბინა ჯეროვანი ყურადღება საჩივარი გადაუგზავნა საქართველოს სსრ კავშირგამშვლობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს.

ამრიგად, ნ. თევდორაშვილის ბრალი საჩივრის განხილვა ორჯერ მეტ ხანს გაჭიანურდა. ხელი შეუწყო აგრეთვე იმ მოვლამ, რომ ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორმა ლ. სამაგლიშვილმა და პროკურორის თანაშემწემ ი. ოლიშვილმა არ გამოიჩინეს ეანი საპროკურორო ზედამხედველობა.

ლეგიის სხდომაზე აღინიშნა, ნ. თევდორაშვილი წინათაც ალ შემჩნეული ასეთ გულგრილობაში, რისთვისაც რამდენჯერ დადო სასჯელი.

ეფორლობისათვის, მოქალაქეთა საჩივრისადმი ფორმალური, ბიუროკრატიული დამოკიდებულებისთვის, აგრეთვე კანონიერება სხვა სერიოზული დარღვევებისთვის კოლეგიამ ნ. თევდორაშვილი გაათავისუფლა პროკურატურის ორგანოებში მუშაობიდან.

ბიუროკურორო ზედამხედველობა შესუსტებისათვის, რის ბრალად გაჭიანურდა მოქალაქე ჩ-ს საჩივრის განხილვის ვადები, ეანი საყვედური გამოეცხადა თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორს ლ. სამაგლიშვილს. ბოლო მის თანაშემწეს ი. ოლიშვილს — საყვედური.

ეფეგიამ კონკრეტული ღონისძიებანი დასახა მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვიდროს კანონიერების დაცვისა საპროკურორო ზედამხედველობის გასაძლიერებლად. (სანარმი).

ფოთური „კომეტის“ პოპულარობა



სწრაფმავალი, კომფორტული

ლონდონ სერავს შავ ზღვას პირველი წყალქვეშაფრთიანი „კომეტა“. იგი შორეულ რეისებშიც დადის. ფოთის ორჯონიკიძის სახელობის გემთშენკეთებელ ქარხანაში ამ „კომეტის“ დამზადებიდან თხუთმეტმა წელმა განვლო. ამ ხნის მანძილზე კომფორტულმა სწრაფმავალმა გემებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს.

ფოთური „კომეტები“ მოსწონთ იტალიასა და საბერძნეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კუბაში, პოლონეთსა და ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

მომავალი წლიდან ფოთელი გემთმშენებლები შეუდგებიან ახალი „კომეტის“ შექმნას. იგი ბევრად უფრო კომფორტული და სწრაფმავალი იქნება.

სურათებზე: ზემოთ — წყალქვეშაფრთიანი ფოთური „კომეტა“ გამოცდან გადის; საწარმოს მოწინავეები მარინე მალაშხია (მარცხნივ) და ლილი ფრიდი.

(საინფორმაციო ფოტოქრონიკა)
ი. პოხორელიძის ფოტო

„ვეფხისტყაოსნის“ კოდეკ ერთი ახალი თარგმანი გამოვიდა ლონდონში. მთარგმნელია ინგლისელი მწერალი ქალი ქეთრინ ვივიანი. იგი ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დეკვიდ ლანგის დახმარებით დაეუფლა ქართულ ენას, ამ რამდენიმე წლის წინათ იყო საქართველოში და ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლების დახმარებით თავისი თარგმანი დედნის ტექსტთან შეაჯერა, პოემის ძნელად გასარჩევი ადგილები დაუზუსტა, პოემის ილუსტრაციები შეარჩია და საქართველოს ყოფას, მის კულტურას უფრო ახლოს გაეცნო.

აქამდე „ვეფხისტყაოსნის“ სამი ინგლისური თარგმანი მოიპოვებოდა. ამათგან ორი (მარჯორი სკოტ უორდროპისა და რობერტ სტიეფენსონისა) პროზაულია, მესამე კი ლექსად არის თარგმნილი (ვენერა ურუშაძისა). სამივე თარგმანი მაღალ მხატვრულ ღირსებებთან ერთად პოემის ტექსტის მეცნიერული სიზუსტით გადმოღებასაც ისახავს მიზნად. ასეთ ვითარებაში ქეთრინ ვივიანმა სხვაგვარი მიზანი დასახა. მან გადაწყვიტა ისეთი თარგმანი მოეცა, რომელიც განსაკუთრებით შეუწყობდა ხელს პოემის პოპულარიზაციას, ადვილად გასაგები იქნებოდა რიგითი ინგლისელი მკითხველისათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისათვის.

პოემის ქეთრინ ვივიანისეული ახალი თარგმანი პროზაულია და ე. წ. თავისუფალი თარგმანია. პოემის მხოლოდ პროლოგი და ეპილოგია თარგმნილი ლექსად. ვივიანის აზრით პოემის პროლოგის ლექსად თარგმნა აუცილებელია, რადგან მას რუსთაველის პოეტურ სამყაროში შეჰყავს მკითხველი, მასში გადმოცემულია პოეტის ესთეტიკური იდეალები. ლექსად თარგმნილმა პროლოგმა მკითხველს უნდა აგრძნობინოს რუსთაველის პოეტური სიტყვის ძალა და გარკვეული შთაბეჭდილება შეუქმნას პოემის ლექსოწყობაზეც.

პროზაულ ნაწილში მთარგმნელი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს პოემაში ასახული ამბის მწყობრად და ოსტატურად გადმოცემაზე. თარგმანის პროზაული ნაწილი ინგლისურ ენაზე ქართული ტექსტის გარდათქმა უფროა, ვიდრე ადეკვატური თარგმანი. ქეთრინ ვივიანის თარგმანი მეცნიერულ სიზუსტეს არ ისახავს მიზნად, მაგრამ მთარგმნელი ცდილობს ძლიერ არ დაშორდეს დედანს, შეინარჩუნოს თხრობას დინამიკურობა, ზოგ შემთხვევაში რამდენიმე სტროფის აზრს მთარგმნელი კუმშავს, ანის ადაპტერების შემთხვევები. ამიტომ ბუნებრივია, რომ პოემის სტროფული შედგენილობა თარგმანში არ არის ასახული. მთელ რიგ შემთხვევებში ინგლისურ ტექსტში გახსნილია რუსთველური მეტაფორები. მეტწილად მთარგმნელი შეგნებულად უვლის ვეფრდს პოეტურ გამომსახველობითი საშუალებათა განმარტებას. ტარიელის მრავალგზისი დაბნედის სცენები და ცრემლთა ღვრა, — აღმოსავლური მწერლობისათვის ესოდენ ბუნებრივი და შესაფერი, ხოლო ევროპელი მკითხველისათვის უჩვეულო ეს ეპიზოდები, მთარგმნელს შეუკვეცავს. ზოგჯერ მთარგმნელი საჭიროდ თვლის ამბის განვითარებაში თითოოროლა მესეული ფრაზის ჩართვას. ეს მეტწილად ხდება პოემის ახალი თავის დასაწყისში, თხრობისათვის მეტი ბუნებრიობის მინიჭების მიზნით.

უნდა ითქვას, რომ ხსენებულ მეთოდს, ე. წ. გარდათქმას, არა აქვს სისტემატური ხასიათი. დედნის ტექსტთან განსაკუთრებით ახლოს არის ავთანდილის ლოცვა, ნესტან-დარეჯანის წერილი, ავთანდილის ანდერძი. ეს არის მრავალი თვალსაზრისით პოემის მეტად საგულისხმო მონაკვეთები, მათში განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება პოეტის თვალთახედვა. მთარგმნელი უდიდესი გულისყურით ეკიდება მათს თარგმნას და შესაბამისად ითვალისწინებს რუსთველოლოგიის ღღეანდელი დონეს.

ჩვენი ქვეყნის სიყვარულით

ლონდონში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ინგლისური თარგმანი

□

ქეთრინ ვივიანი ოსტატურად თარგმნის რუსთველურ ალეგორიზმებს. მის თარგმანში რუსთველის ბრძნული აზრები გადაცემულია ზედმიწევნით ზუსტად, სიტყვაძუნწად და ნათლად.

ცნობილია, რომ პოეტური ნაწარმოების პროზაულ თარგმანში ფერმკრთალდება პოეტურ სახეთა ცხოველმყოფელობა, იკარგება ან იცვლება ნაწარმოების შინაგანი რიტმი. თავისთავად, რუსთველის პოემის თარგმნისადმი ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ ჩვენ უთუოდ გვმართებს გათვალისწინება დასავლეთში დაკვიდრებული საკმაოდ ძლიერი ტრადიციისა, კლასიკოსების ნაწარმოებთა ამგვარი გარდათქმის ტრადიციისა.

ქეთრინ ვივიანმა მის წინაშე დასახული ამოცანა ოსტატურად განახორციელა. იგი მშვენიერად ერკვევა „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ტექსტში. ამასთანავე მას უსარგებლია პოემის ინგლისური და ფრანგული თარგმანებით. მთარგმნელმა ეს რთული და ძნელი საქმე შეასრულა დიდი გემოვნებითა და ზომიერების გრძნობით.

მთარგმნელს ამოძრავებს ქეთილშობილური სურვილი ქართული კულტურის პოპულარიზაციისა. მისი თარგმანის სახით ფართო მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო საინტერესო საკითხავი წიგნი, რომელიც უთუოდ შეუწყობს ხელს ინგლისურენოვან ხალხებში რუსთველისადმი და ქართული კულტურისადმი ინტერესის გაღვივებას.

წიგნს მიმზიდველობას მატებს ისიც, რომ ეს არის პოლიგრაფიული ხელოვნების თვალსაზრისით პოემის ერთ-ერთი უმშვენიერესი გამოცემა. ქოლლინზ — ამ საკითხებისადმი მიპყრობილი მთარგმნელის გულისყური. ავტორი გვიჩვენებს, რომ შუა საუკუნეებში საქართველო მაჰმადიანურ აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბურჯად იდგა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იგი დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას, განათლების ძერებს, გვაწვდის რუსთველის შესახებ ძირითად ცნობებს. ქეთრინ ვივიანი მკითხველს ესაუბრება რუსთაველისადმი ქართველი ხალხის თაყვანისცემაზე. მკითხველი იგებს, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართველ ქალს მზითვად ატანდნენ პოემას, რომ წერა-კითხვას პოემის ტექსტით სწავლობდა ქართველი კაცი. მთარგმნელის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ ასაზრდოებდა თაობებს, იგი სულიერი საუნჯე, რომელიც მსოფლმხედველობას უყალიბებდა, გმირობას, კეთილშობილებასა და სიქველეს შთააგონებდა ერს; პოეტები მას მიზანსაოდ მიმართავდნენ. მთარგმნელი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ეროვნული ქართული ძეგლია და, ამასთანავე, უნივერსალურობაც მისი უპირველესი თვისება.

შესავალ წერილში სხარტად და ვალეფიციურად არის მოწოდებული ცნობები ქართული ენის, მსოფლიოს ენათა დიდ ოჯახში მისი განსაკუთრებული ადგილის შესახებ. მთარგმნელი მიმოიხილავს რუსთაველის ეპოქის დასავლეთსა და აღმოსავლეთში კულტურულ ვითარებას, სპარსულენოვანი მწერლების შემოქმედებასა და დასავლურ რაინდულ ლიტერატურას. იგი მკითხველს ცნობას აწვდის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებისა და ვახტანგისეული გამოცემის, პოემის რიტმისა და რითმის შესახებ. წერილში საერთაშორისო ტრანსკრიპციით წარმოდგენილია მაღალი და დაბალი შაირის ნიმუშები, რაც უცხოელ მკითხველს საშუალებას მისცემს იგრძნოს რუსთველური ლექსის ჟღერადობა.

ქეთრინ ვივიანს მიაჩნია, რომ დღევანდელ პირობებში, როცა გვიჭირს „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალე თარგმანი ლექსად და, ამასთანავე, მეცნიერული სიზუსტით შესრულებული პროზაული მხატვრული თარგმანები, მისი თარგმანიც უფლებამოსილია არსებობდეს დამატებით და არა რომელიმე არსებული თარგმანის შემცვლელად. მთარგმნელი შესანიშნავად გრძნობს, რომ პოეტური ელვარებას მოლბული თარგმანში რუსთველის გენიალობა უნდა გამომჟღავნდეს ამბის საინტერესო თხრობით, ხასიათთა ოსტატური გამოკვეთით და ცხოვრებისეულ სიმართლესთან ყოველი ეპიზოდის სიახლოვით.

ქ. ვივიანის წერილი გამსჭვალულია ქართველი ხალხისადმი, ქართული კულტურისადმი უღიდესი სიყვარულის, აღტაცებისა და მოწიწების გრძნობით. ამასთანავე მთარგმნელი კარგად ითვალისწინებს თანამედროვე მეცნიერულ დონეს. იგი ლოგად და საინტერესოდ ესაუბრება მკითხველს რუსთველის სამშობლოს შესახებ. ქართული კულტურის პოპულარიზაციას დიდ სამსახურს გაუწევს ქეთრინ ვივიანის თარგმანიც და შესავალი წერილიც.

მანანა გიგინეიშვილი.

ჟანრიკები

სსრ კავშირი — იუგოსლავია

ტალინში გრძელდება აზანაგური მატჩი საბჭოთა და იუგოსლავიელ მოჭადრაკეთა ნაკრებ გუნდებს შორის. ლიბულების თანახმად მოჭადრაკეები ყოველ დაფაზე ოთხ-ოთხ პარტიას ითამაშებენ. დიოსტატი ნანა აღექსანდრია ეთამაშება ცნობილ საერთაშორისო ოსტატ მაჩეკს, რომელიც წინათ კალხბრენერის გვარით გამოდიოდა ტურნირებში. პირველი პარტია ნ. აღექსანდრიას გაბარჯვებით დამთავრდა.

ორი ტურის შემდეგ მატჩის ანგარიშია 13:4 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. პირველ დაფაზე რომანიშინმა და იუგოსლავიელმა დიდოსტატმა ჰულაკმა თითო პარტია მოიგეს.

ნ. გაფრინდაშვილის მონაწილეობით

მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ითამაშებს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ტურნირში, რომელიც ბელგრადში (იუგოსლავია) მარტში იმართება. ასპარეზობაში ჩვეულებრივ ცნობილი დიდოსტატები და ოსტატები მონაწილეობენ.

ამ დღეებში ასპარეზობის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მიიღეს წერილი მსოფლიოს ჩემპიონისგან, სადაც იგი აღასტურებს თავის თანხმობას მონაწილეობა მიიღოს 8 მარტის ტურნირში.

ი. ეფიმოვი — ლიდერთა ჯგუფში

ერევანში დაიწყო საკადრაკო ტურნირი, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს. მონაწილეთა შორის არიან დიდოსტატები ხოლმოვი (მოსკოვის ოლქი), ლუტიკოვი (ტრანსპოლი), ეუშკოვსკი (ომსკი), 12 ოსტატი და 2 ოსტატობის კანდიდატი. ასპარეზობაში ჩაება ნორჩი თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ი. ეფიმოვი. მან კარგად აიღო სტარტი — 4 თამამიდან 3 ქულა მოაგროვა და ლიდერთა ჯგუფში.

ფეხბურთი

ჩემპიონატი დამთავრდა

გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის მეორეული საფეხბურთო ჩემპიონატია უკანასკნელი 240-ე მატჩი მოსკოვის „ტორპედოსა“ და ერევნის „არარატს“ შორის. სტუმრებისათვის თამაშის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, წაგების შემთხვევაში ერევნელება უძაღლეს ლიგას ტოვებდნენ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამრიგად უმაღლესი ლიგა კიევის „კრილია სოვეტოვთან“ ერთად დატოვა ლვოვის „ალპატმა“. მათ მაგივრად გაისად ითამაშებენ მოსკოვის „სპარტაკი“ და ტბილისის „პახტაკორი“.

აი ასე გაწოიყურება საკავშირო ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი:

	ო.	მ.	ფ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	30	14	15	1	51-12	43
„დინამო“ მბ.	30	13	13	4	43-26	39
„ტორპედო“	30	12	13	5	30-23	37
„დინამო“ ბ.	30	9	17	4	34-20	35
„შახტიორი“	30	9	16	5	31-24	34
„ლოკომოტ.“	30	9	14	7	27-25	32
„ჩერნომორ.“	30	11	8	11	33-41	30
„კირატი“	30	6	17	7	26-31	29
„ზარია“	30	8	12	10	28-24	28
„ზენიტი“	30	8	12	10	34-33	28
„არარატი“	30	7	13	10	28-34	27
„დნეპრი“	30	9	9	12	24-31	27
„ნეფტჩი“	30	5	17	8	25-34	27
ცსკა	30	5	17	8	28-39	27
„პარპატი“	30	6	14	10	26-30	26
„კრ. სოვეტ.“	30	2	7	21	18-59	11

საგზოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის ფეხბურთელთა რამდენიმე გუნდი სახლვარგარეთ გაემგზავრა ამხანაგური მატჩების გასამართავად.

სსრ კავშირის ჩემპიონმა კიევის „დინამომ“ იტალიაში გამართა პირველი მატჩი ფლორენციის „ფიორენტინასთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. კიეველთაგან ბეურთები გაიტანეს ლოზინსკიმ, კოლოტოვმა და ბერეზნიომ.

ჯაკარტაში მოსკოვის „სპარტაკის“ ახალგაზრდულმა შემადგენლობამ წაგო ინდონეზიის ნაკრებთან 0:1.

მონაკოში სტარტი აიღო ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა გუნდმა პირველ მატჩში დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი ანგარიშით 5:0.

კრივი

„მამილო შტამის“ მემორიალი

„მამილო შტამს“ უწოდებდნენ ალერსით ცნობილ პოლონელ მწვრთნელს მოკრივეებმ. ვარშავაში გაიმართა მისი მემორიალი. მასში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, ვენესუელის, კუბის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, უგანდის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და პოლონეთის უძლიერესმა მოკრივეებმა.

სამმა საბჭოთა სპორტსმენმა 1975 წლის ევროპის ჩემპიონმა მოსკოველმა ვიქტორ რიბაკოვმა (ქვემსუბუქი), ორენბურგელმა ვლადიმერ სოროკინმა (პირველი ქვესაშუალო) და კოტინენტის პირველმა ხელთათმანმა მოსკოველმა ევგენი გორსტკოვმა (მძიმე) პირველი ადგილები დაიკავეს. უმნიშვნელო წონაში მეორე ადგილი წილად ხვდა ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორს დავით ტოროსიანს. ევროპის ჩემპიონმა თბილელმა დავით კვაჭაძემ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

რედაქტორი
დ. მჟავლიშვილი.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს 1977-78 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. აგრონომია (ქართული და რუსული სექტორები); 2. მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა, 3. აგრომელიორაცია, 4. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაცია, 5. საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში 6. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები).

7. სატყეო მეურნეობა (ქართული და რუსული სექტორები).

სასწავლებლად მიიღებიან საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები, რომლებიც მუშაობენ სასწავლებლად არჩეული სპეციალობით.

ინსტიტუტში შემსვლელნი მიხაღებ გამოცდებს აბარებენ:

ა) აგრონომიულ, აგრომელიორაციის, მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ბიოლოგია* (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი).

ბ) სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში სპეციალობებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა* (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი).

გ) სატყეო მეურნეობის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა),* ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი).

დ) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა)* და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

რუსულ სექტორზე ინსტიტუტში შემსვლელნი გამოცდას ქართული ენისა და ლიტერატურის ნაცვლად რუსულ ენასა და ლიტერატურას (წერა) აბარებენ.

ოქრის ან ვერცხლის მედალოსნები და სამუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი გამოცდას მხოლოდ იმ საგანში აბარებენ, რომელიც „ლიმშუია ვარსკვლავი.

აღნიშნული საგანში უმაღლესი („ხუთი“) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ და „სამი“ შეფასების მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა შესაბამის საგანში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით, ჩარიცხვა 1977 წლისათვის დამტკიცებული მიღების წესების შესაბამისად.

განცხადება სასწავლებლად შემოსვლის მსურველებს შემოაქვთ რექტორის სახელზე. განცხადებას დაერთვის: 1. საშუალო განათლების სამუალო (დედანი), საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს. 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შემოსასვლელად, რომელსაც აძლევენ საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელები, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები; 3. ცნობა სამუშაო ადგილიდან და ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთაოვის ამონაწერი კოლმეურნეის წიგნაკიდან, სადაც ასეთი არის შემცვლელი საბუთები დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ. ცნობაში რომელსაც გასცემს კოლმეურნეობა უნდა აღინიშნოს მოცემულ პერიოდისათვის დაწესებული მინიმუმი. ცნობაში, რომელიც ეძლევა მუშებს აღინიშნება სამუალო მუშის გამოშუშავება. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან ახლად დემობილიზებულნი აღგენენ ცნობას სამხედრო კომისარიატიდან. 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოთ, ზომით 3X4 სმ.) ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს (სამხედროვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირნი).

განცხადებები მიიღება 1978 წლის 15 იანვრამდე (ყოველდღე გარდა კვირისა) 14 ს. და 30 წ. 18 საათამდე, მიხალები გამოცდები დაიწყება ივნვარში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში.

ჩვენი მისამართია თბილისი, საქართველოს სახმხედრო გზის მე-13 კმ. საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ავტობუსი № 27, 54.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს. მოამზადებს, რომ 1977-1978 სასწავლო წელში ლაბორატორიული-საგამოცდო სესიები ჩატარდება შემდეგი განრიგით:

1. სპეციალობები: აგრონომია, აგრომელიორაცია და მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა **I-II-III-IV კურსებზე 1978 წ. 2 იანვრიდან, V კურსზე 20 თებერვლიდან.**

2. სპეციალობა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია **I-IV კურსებზე 1978 წ. 2 იანვრიდან.**

3. სპეციალობა სატყეო მეურნეობა **I-IV კურსებზე 1978 წლის 23 თებერვლიდან, V კურსზე 20 თებერვლიდან.**

4. სპეციალობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია **I-IV კურსებზე 1978 წლის 14 მარტიდან, V კურსზე 17 იანვრიდან.**

5. სპეციალობა ბუღალტრული აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში **I-III კურსებზე 1978 წ. 14 მარტიდან, IV კურსზე 17 იანვრიდან, V კურსზე 1977 წლის 21 დეკემბრიდან.**

სტუდენტთა გამოძახება და სესიაზე დაშვება მოხდება დადგენილი წესით (იხ. გაზეთი „კომუნისტი“ 1976 წ. 3 დეკემბერი.).

ტელევიზია

15 ნოემბერი

კიეველი კროკოდილი

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი, მოსკოვიდან), 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. (ფერადი, მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო ფილმი-სპექტაკლი „უფლისწული და ობობა“ (ფერადი), 12.15 — „კინოპოგზაურობის კლუბი“. (ფერადი, მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნების ხმები“ (ფერადი), 17.55 — განცხადებები, 18.00 — შეუიარაღებელთ ინგლისური ენა, 18.30 — კინოხარკვევი „ტალინი“ (ფერადი), 18.40 — სოციალისტური შეჯიბრების დღიური, 19.05 — „ხელოვანი, დრო, საზოგადოება — „თუში მეცხვარე“ (განმეორებთ), 20.15 — „ბლობუსი“. (ფერადი), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ლენინური გვარდიის ჯარიხაცები“ — ბელ ენკეიძე, 22.00 — „ერემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — უკრავენ ზ. მდივანი და თ. გაბარაშვილი (ფერადი), 23.15 — სპორტული პანორამა.

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯეუფრთხილდით მიწას“, 19.50 — კონცერტი, 20.25 — ქართული მხატვრული ფილმი „დარიკო“.

რადიო

16 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მომთხილვა (მოსკოვიდან), 08.30 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ო. თევდორაძე — სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — უკრავს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „მშრომელთა კომპლექსური აღზრდა“, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწვინავე სტატია, 13.40 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“ ვ. კერნბახი — „ქვეყანა მყინვარებსა და ნარინჯებს შორის“, 14.20 — კონცერტი — საუბარი „მღერის თეგნიზ მუშკუდიანი“, 15.00 — საკავშირო რადიოსა და ცენტრალური ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, 17.15 — მოსწავლეთათვის „თქმულება ქართულ ანბანზე“. რადიოდადგმა (ნაწილი მეოთხე), 17.45 — ბ. ასაფიევი — ნაწყვეტები ბალეტიდან „ბახჩისარაის შადრევანი“, 18.10 — დ. არაყიშვილი — სიმღერები და რომანსები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ ტრანსლაცია ერევნიდან, 21.00 — ძილისპირული, 21.15 — ახალგაზრდობისათვის „როგორ იბადება გმირობა“, 21.30 — უკრავს ი. ხეიფეცი, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

ოპერეტა

15 ნოემბერი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თაკიტაშვილი თემა (დასაწყ. სალ. 7 ს.);

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო აუწყებს, რომ გარდაცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სოციალისტური შრომის გმირი
შალვა სიმონის ძე ქაბიძე